საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. სამტრედია 6 სექტემბერი 2012 წელი

2012 წლის 6 სექტემბერს 12 საათზე შეიკრიბა კომისია, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2012 წლის 3 სექტემბერს №623 საკონკურსო განცხადების საფუძველზე, პრეტენდენტის მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1. გოჩა ხარებავა – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი;
2. ვაჟა გეგეშიძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
3. გივი ღადანიძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და საბუღალტრო არღიცხვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
4. ირაკლი სულავა – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და შესყიდვების განყოფილების უფროსი – კომისიის წევრი;
5. ია ხოშტარია – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საერთო განყოფილების უფროსი – კომისიის აპარატის წევრი;
6. თამარ შუბლაძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საერთო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი – კომისიის აპარატის წევრი;

დღის წესრიგი:

საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე, პრეტენდენტთა მიერ შემოტანილი კონვერტების გახსნა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება.

განხილვა:

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გოჩა ხარებავამ და დამსწრეთ წარუდგინა დალუქული კონვერტი, რომელიც შემოწმებული იქნა კომისიის წევრების მიერ. კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შ.პ.ს. „არქიტექტორმა".

კომისიის თითოეულმა წევრმა შეავსო ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომ არ იმყოფებიან ნათესაურ კავშირში კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

ამის შემდეგ მოხდა დალუქული კონვერტის გახსნა კომისიის თავმჯდომარის მიერ და მოხდა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისათვის საჭირო დოკუმენტების დასახელება, აგრეთვე დასახელდა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასი.

კომისიამ სათითაოდ განიხილა ყველა საბუთი, აღნიშნა რომ საბუთები დამოწმებულია ბეჭდით, ხელმოწერილია და აღნიშნული საბუთები აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კომისიის სხდომაზე კანონმდებლობის შესაბამისად მოწვეული იქნა შ.პ.ს. „არქიტექტორი"-ს ხელმძღვანელი ანზორ კოპალეიშვილი ზეპირ ვაჭრობაში მონაწილეობისათვის ფასის კლების თვალსაზრისით. კომისიის თავმჯდომარემ სამჯერ დაუსვა ანზორ კოპალეიშვილს შეკითხვა ფასის კლების მიზნით, რაზედაც ანზორ კოპალეიშვილმა უარი განაცხადა და მან საკონკურსო წინადადების საბოლოო ფასად დააფიქსირა 1800 (ათასრვაასი) ლარი.

კომისიამ დაადგინა:

1. საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „არქიტექტორი", ღირებულებით 1800 ლარი.

2. გამგეობის ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ვაჟა გეგეშიძემ უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება.

კომისიის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: გოჩა ხარებავა

კომისიის წევრები: ვაჟა გეგეშიძე

გივი დადანიძე

ირაკლი სულავა

საკონკურსო კომისიის
აპარატი: ია ხოშტარია

თამარ შუბლაძე